განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

7-8 ოქტომბერი, 2020

წარდგენის თარიღი

16 ნოემბერი, 2020

თბილისი 2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	202192643
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სამართლის ბაკალავრი 0421
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი, 0421
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან მოსახლიშვილი, სამართლის დოქტორი, სს საქართველოს ენერგეტიკის ფონდის დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში, კავკავკასიის

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ბოგვერაძე, სამართლის დოქტორი, კორძაძის საადვოკატო ბიუროს პარტნიორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	კოსტანტინე ებრალიძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი,საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამართლის საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტს მოიცავს. იგი შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისგან. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი სამართლის საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს 2002 წლიდან, 2012 გაიარა აკრედიტაცია (2012 წლის 08 ნოემბრის გადაწყვეტილებით).

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.

სამართლის საბაკალავრო სასწავლო პროგრამა შედგება ძირითადი (სამართლის) სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების (155 კრედიტი), ძირითადი (სამართლის) სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების (45 კრედიტი) (ინგლისური) ენის კომპონენტის (30 კრედიტი) და თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებისაგან (10 კრედიტი).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 2020 წლის 7-8 ოქტომბერს ინტერვიუირების პროცესი მიმდინარეობდა 7 ოქტომბერს 10:00 სთ-დან 17:20 სთ-მდე, ხოლო დამსაქმებლებსა და სტაჟირების განმახორციელებლებთან შეხვედრა შედგა 8 ოქტომბერს. 11.00-დან 15.00 მდე დისტანციური ფორმატით ელექტრონული კომუნიკაციების (პროგრამა ზუმით) საშუალებით. ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, ადმინისტრაცია მზად იყო თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა როგორც ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხების განმარტებისა და სხვადასხვა პანელზე მონაწილე პირების დასწრების უზრუნველყოფის, ასევე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენაში.

პირველ პანელში ინტერვიუ შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. განმარტებული იქნა უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან, პროგრამის შემუშავებასა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები.

ვიზიტის მომდევნო პანელი დაეთმო თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრას და განმარტებული იქნა სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციისათვის მომზადების პროცესი და მასში სხვადასხვა პირთა ჩართულობა.

ვიზიტის მესამე პანელში ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელთან და განმარტებული იქნა პროგრამასთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტები.

მომდევნო პანელი დაეთმო შეხვედრას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, დისტანციურად განხორციელდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და შემდგომ შედგა შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დამოუკიდებელ პანელებში. მომდევნო პანელების ფარგლებში ინტერვიუები ჩატარდა პროგრამის სტუდენტებთან, პროგრამის კურსდამთავრებულებთან, ხოლო დამსაქმებლებსა და სტაჟირების განმახორციელებლებთან შეხვედრა შედგა 8 ოქტომბერს.
ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამართალს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და სამართლის დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის შემოწმებისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით და მოქმედი წესის მიხედვით პროგრამა, მისი კომპონენტები და განხორციელების პროცედურები შეფასებული იქნა შემდგენაირად:

#	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია სტანდარტებთან

- **რეკომენდაციები**

სტანდარტი 2.2

- მიზანშეწონილია, პროგრამაში ნათლად იყოს ასახული და კონკრეტიზირებული არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც ამ კომპონენტის ფარგლებში სტუდენტებს 10 კრედიტის დაგროვების შესაძლებლობას მისცემს.
- მიზანშეწონილია, განისაზღვროს სტუდენტების ინგლისურის ცოდნის შესაბამისი დონის განსაზღვრის წესი, რომლითაც დადგინდება სტუდენტის მიერ მისი ცოდნის დონის შესაბამისი ინგლისურის სასწავლო კურსების სწავლება.

სტანდარტი 2.6

- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების ზუსტი და მკაფიო კრიტერიუმები ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სტანდარტი 2.2

➢ მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების მოდულის ფარგლებში პროგრამა სტუდენტებს მათ მიერ არჩეული მიმართულების მიხედვით აძლევს შესაბამისი სასწავლო კურსების არჩევისა და, შესაბამისად, საკუთარი პროფილის ფორმირების შესაძლებლობას, სასურველია, არჩევითი საგნების აღნიშნული მოდული გაფართოვდეს და სტუდენტებს მეტი არჩევითობის შესაძლებლობა მიეცეთ მათი ინტერესების მიხედვით.

სტანდარტი 4.3

➢ ვიზიტის მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ პროგრამა კოდექსით სარგებლობა სტუდენტებსა და პედაგოგებს მხოლოდ უნივერსიტეტიდან შეუძლიათ. უნივერსიტეტის გარეთ სტუდენტებს და პედაგოგებს ამ ბაზიდან ნორმატიული მასალის მიღება შეუძლიათ მხოლოთ ბიბლიოთეკის ადმინისტრაციის მონაწიეობით, რაც დამატებით ბარიერებს ქმნის. სასურველია ეს საკითხი დარეგულირდეს ისე, რომ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს ჰქონდეთ საკანონმდებლო ბაზასთან წვდომა. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს ვერსია, რომელიც საშუალებას მისცემს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტების ისარგებლოს ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე გარედან.
➢ ასევე მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა იმუშავოს სამართალში განსაკუთრებულად აქტუალური რესურსების, როგორიცაა home.heinonline.org და www.lexisnexis.com -ს უნივერსიტეტში გამოყენების დანერგვაზე. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს თუნდაც სხვა უნივერსიტეტთან თანამონაწილეობის პრინციპზე, რამეთუ, აღნიშნული რესურსები ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს.

სტანდარტი 5.1

➢ სასურველია აღდგეს ძველი პრაქტიკა რომლის დროსაც სტუდენტების გამოკითხვა ატარებდა ე.წ „სავალდებულო“ და არა „ფაკუტატურულ“ ხასიათს. ამით უზრუნველყოფილი იქნება შეფასების განხორციელების პროცესში უფრო მეტი პირის მონაწილეობა და შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უსდ“ ან „უნივერსიტეტი“) მისიის თანახმად უნივერსიტეტის ორიენტირი სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, სამეცნიერო კვლევისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნითა და პრაქტიკული უნარების განვითარებით სტუდენტებისათვის საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების შესაბამისი განათლების მიცემა და მულტიკულტურული და დემოკრატიული კლიმატის შექმნით, მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების მქონე პიროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობაა. იდენტურად, უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ერთ-ერთ უმთავრეს მისიად შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური იურისტის მომზადებაა განსაზღვრული ახალი იდეების, ინოვაციებისა და ცვლილებებისათვის ღიაობის, დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობის, ინტერნაციონალიზაციისა და პროგრესულობის ღირებულებებზე დაყრდნობით. უნივერსიტეტის ხედვაა, „იყოს ხარისხიანი განათლების მიღების, სამეცნიერო კვლევისა და პროფესიული უნარების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების მქონე დაწესებულება, რომელიც მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი იქნება, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე“. უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა (შემდგომში „სამართლის საბაკალავრო პროგრამა“ ან „პროგრამა“) ხორციელდება 2002 წლიდან (აკრედიტაცია მიენიჭა აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 08 ნოემბრის გადაწყვეტილებით). პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური იურისტის მომზადებაზე, რომელიც აღჭურვილია საფუძვლიანი თეორიული ცოდნითა და იურისტისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევებით. სამართლის საბაკალავრო პროგრამა ფორმულირებულია შემდეგი 5 მიზნის გარშემო: ○ სტუდენტის მიერ ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, სამართლის თეორიების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების, სამართლის ძირითადი პრინციპების, ღირებულებების შესახებ ფართო ცოდნის დაუფლება საჯარო, სისხლის და კერძო სამართალში. ○ სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარის ფორმირება.

- პრაქტიკული საქმიანობის პასუხისმგებლობითა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით, სამართლებრივი პრინციპებისა და ღირებულებების გათვალისწინებით განხორციელება.
- უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტანდარტებისა და შრომის ბაზრის შესაბამისი სამართლის ბაკალავრის მომზადება, რომლის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე.
- სტუდენტისთვის მყარი საფუძვლის შექმნა ზედა საფეხურის აკადემიური პროგრამების უკეთ დაუფლებისათვის.

პროგრამის მიზნები ადეკვატურადაა განსაზღვრული და თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან და კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო კურსების მიზნებთან. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულია შრომის ბაზრის ანალიზი და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვები, რომელთა შედეგებიც შესაბამისად აისახა პროგრამაში, კერძოდ, ბაზრის ანალიზისა და დამსაქმებელეთა გამოკითხვების შედეგებმა, რაც დადასტურდა ინტერვიურების პროცესშიც, აჩვენა, რომ დამსაქმებლების დაკვეთა და, შესაბამისად, თანამედროვე ბაზრის მოთხოვნაა უნივერსიტეტის მიერ იმგვარი კურსდამთავსებულის მისთვის შეთავაზება, რომელსაც თეორიულ ცოდნასთან ერთად გააჩნია ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. ამ თვალსაზრისით და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის მიერ განხორციელდა პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო კურსებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება. გარდა იმისა, რომ გაძლიერებულია სხვადასხვა სასწავლო კურსში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტი, პროგრამა ითვალისწინებს ისეთ სავალდებულო პრაქტიკულ კურსებს, როგორიცაა საკონსტიტუციო სამართალწარმოება, საპროცესო უნარები სამოქალაქო სამართალში, საპროცესო უნარები ადმინისტრაციულ სამართალში და საპროცესო უნარები სისხლის სამართალში.

პროგრამის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო ხედვა ასახულია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის (2018-2025) დოკუმენტში (დამტკიცებულია აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის 2018 წლის 22 იანვრის #77 დადგენილებით). სამეცნიერო და საგანმანათლებლო ურთიერთთანამშრომლობასთან დაკავშირებით, მათ შორის სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების საკითხებზე, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტებთან (ნიუ ჯერსი სითის უნივერსიტეტი, ლანჟოუს უნივერსიტეტი, ნიქოზიის უნივერსიტეტი და სხვ.) თუმცა, სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს და ამ თვალსაზრისით უფრო აქტიურად იმოქმედოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის განვითარებაზე.

პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი სავალდებულო კომპონენტებისა და არჩევითი კომპონენტების მოდულები საბოლოო ჯამში უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნების მიღწევადობას, რაც, თავის მხრივ, შესაბამისობაშია უნივერსიტეტის ხედვასა და მისიასთან. პროგრამის მიზნების რეალისტურობასა და მიღწევადობასთან მიმართებით გასათვალისწინებელია სამართლის საბაკალავრო პროგრამისათვის აუცილებელი ის ძირითადი კომპონტენტები, რაც წარმოადგენს პროგრამის ძირითადი მიზნების მიღწევის აუცილებელ საშუალებებს: (ა) სამართლის პროგრამის სტრუქტურა, შესამისობა დარგობრივ მახასიათებლებთან, თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და მისი გაჯერება, პირველ რიგში, იმგვარი სავალდებულო სასწავლო კურსებით, რომლებიც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნების განხორციელებას; (ბ) უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა - სათანადო სასწავლო სივრცე; (გ) თანამედროვე ინტერნეტ და მატერიალურ სამართლებრივ გამოცემებზე ხელმისაწვდომობა, რაც, თავის მხრივ, მოიცავს

თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკის არსებობას; (დ) მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი იურისტის მომზადებას; და (ე) პროგრამის ფინანსური მდგრადობა. პროგრამის მიზნების მიღწევადობის რეალისტურობის ზემოაღნიშნული კომპონენტების ერთობლივად შეფასების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია. უნივერსიტეტის ვებგვერდზე (http://tou.edu.ge) პროგრამის მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია, ვებგვერდზე, ასევე, განთავსებული და ხელმისაწვდომია პროგრამა, უნივერსიტეტის ძირითადი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა დოკუმენტი, მათ შორის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დებულება, სტრატეგიული განვითარების გეგმა, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, უნივერსიტეტის სხვადასხვა სამსახურის დებულებები, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესი და სხვა შიდასამართლებრივი აქტები. ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია მასში ჩართული პირების მიერ. მისასალმებელია, რომ COVID 19-ის გავრცელების გამო ქვეყნის მასშტაბით უნივერსიტეტების ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა 2020 წლის 01 აპრილს დაამტკიცა ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი, რომელიც განსაზღვრავს ელექტრონული სწავლების ფორმის სასწავლო პროცესში დანერგვისა და გამოყენების მექანიზმებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა გამოკითხვები ○ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა ○ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას დაგეგმილი სტრატეგიისა და ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ორიენტირებულია შემდეგი 8 სწავლის შედეგის მიღწევაზე: ○ განსაზღვრავს და კრიტიკულად გაიაზრებს სამართლის არსსა და სისტემას, შესაბამის თეორიებს და მეთოდებს, წყაროებს (მათ შორის ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს), სამართლებრივი სისტემების თავისებურებებს, საჯარო, სისხლის და კერძო სამართლის ძირითად ინსტიტუტებს, მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებს, პრინციპებს, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის თანაფარდობას; ○ აღწერს უფლების დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს, სამართალწარმოების სახეებს და პასუხისმგებლობის ზომებს; ○ გამოკვეთს სამართლებრივ პრობლემას და გადაწყვეტს მას შესაბამისი სამართლებრივი ნორმების ანალიზისა და სტრეტეგიისა და ტაქტიკის შემუშავების გზით, როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური პასუხისმგებლობით; ○ ადგენს სამართლებრივი შინაარსის დოკუმენტებს დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით, მონაწილეობს სამართალწარმოების პროცესში; ○ ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის საფუძველზე აყალიბებს სამართლებრივად დასაბუთებულ და ეთიკურ პოზიციასა და დასკვნას და მიზნობრივად გადასცემს ზეპირი და წერითი ფორმით, შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ქართულ და ინგლისურ ენებზე; ○ რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით სხვადასხვა წყაროებიდან მოიძიებს და აანალიზებს სამართლებრივად მნიშვნელოვან ინფორმაციას და ავითარებს თეზისს; ○ სასამართლო პრაქტიკის, საკანონმდებლო ცვლილებების და სამეცნიერო სიახლეების გაცნობის საფუძველზე ავითარებს საკუთარ ცოდნას;

- იცავს პროფესიული ეთიკის ფარგლებს, ადამიანის უფლებებს და მოქმედებს სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტმა განახორციელა შრომის ბაზრის ანალიზი, დამსაქმებელთა გამოკითხვები, რომელთა შედეგებიც აისახა სწავლის შედეგების შესაბამისად განსაზღვრაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიურირების შედეგებით დასტურდება პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების შემუშავებაში სხვადასხვა დაინტერესებული პირების, მათ შორის დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების, ჩართულობა.

პროგრამა განსაზღვრავს სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკას, რომელიც არსებითია სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის დადგენისათვის და ასახავს კავშირს პროგრამის მიზნებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის. ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგებთან თითოეული სასწავლო კურსის ურთიერთმიმართება ასახულია სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკაში.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება ორი ძირითადი მიდგომა: პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდები. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს აკადემიური მოსწრების ანალიზს, პერიოდულ მონიტორინგსა და გამოკითხვას. სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე ხდება სილაბუსის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენა, პროგრამისა და სილაბუსის დონეზე მუშავდება მონაცემები და შედეგი დარდება პროცენტულ მაჩვენებელს. 20%-იანი გადახრის შემთხვევაში, სწავლის შედეგები თავიდან გადაიხედება. გარდა ამისა, უნივერსიტეტში დანერგილი შეფასების ტექნიკის მეშვეობით, ფიქსირდება პროგრამაზე არსებული სტუდენტების საერთო რაოდენობიდან რამდენმა მიაღწია სწავლის თითოეულ შედეგს და შემდგომ დარდება სამიზნე ნიშნულს. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი იზომება შეფასების გეგმის მიხედვით იმ სემესტრის დასრულებისას, რომელიც კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას მოიაზრებს. უნივერსიტეტი იყენებს არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს, როგორებიცაა დამსაქმებლებისა და სტუდენტების გამოკითხვა.

ინტერვიურირების პროცესმა და წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ აჩვენა, რომ უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს, თუმცა, აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი იქნა უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის 2018 წლის ანგარიში, უნივერსიტეტმა აღნიშნა, რომ შეფასების ლოგიკური წრის დაუსრულებლობის გამო ამ ეტაპზე შედეგების შეფასების შედეგების იმპლემენტაციის ანგარიში არ გააჩნიათ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა გამოკითხვები
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, სამართლიანია, საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული წინაპირობები და პროცედურა განისაზღვრება ბაკალავრიატის დებულებით და პროგრამით. ამასთან, ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის, დაშვების წინაპირობების, პროგრამის მიზნებისა და შედეგების, პროგრამაში ჩართული პერსონალის შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს, მიიღონ ინფორმაცია არა მხოლოდ პროგრამაზე მიღების პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესახებ, არამედ შეუქმნან კონკრეტული წარმოდგენა და მოლოდინი პროგრამის არსსა და სწავლის შედეგებზე.
საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს:

- სრული ზოგადი, ან მასთან გათანაბრებული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეს: ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესის შესაბამისად;
- სრული ზოგადი, ან მასთან გათანაბრებული განათლების მქონე საქართველოს/უცხო ქვეყნის მოქალაქეს-ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე;
- ბაკალავრიატის სტუდენტს, რომელიც ჩაირიცხება პროგრამაზე სხვა უსდ-დან გადასვლის წესით საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად.
- დაშვების წინაპირობები სრულად არის გადმოცემული საბაკალავრო პროგრამაში და ხელმისაწვდომია საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებგვერდზე: https://www.tou.edu.ge/law-bachelor.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- უსდ-ს ვებგვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ამსახველ დოკუმენტს და ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების წესსა და პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს და განახორციელებს უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლა, რომელიც ასევე შეიმუშავებს მოქმედ პროგრამაში შესატან ცვლილებებს და ახდენს პროგრამების მოდიფიცირებას. პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობენ: აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მოწვეული პერსონალი და სტუდენტები, ისევე, როგორც დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები. პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს უნივერსიტეტისა და შესაბამისი სკოლის მისიასთან, და უნდა ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების, შრომის ბაზრის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლის და სხვა მხარეების) მოთხოვნებს. შესაბამისი სკოლის ბაზაზე იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის კოორდინაციაც ევალება ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსს. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ორგანიზებას უკეთებს პროგრამის შემუშავების პროცესს, უზრუნველყოფს აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, პოტენციური დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობას პროგრამის შემუშავების პროცესში და პროგრამის პროექტს წარუდგენს განსახილველად სკოლის საბჭოს. სკოლის საბჭოს მიერ განხილული პროგრამის/პროგრამის ცვლილებების პროექტი საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) და სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) შესწავლის და საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით იგზავნება ხარისხის მართვის დეპარტამენტში. ხარისხის მართვის დეპარტამენტი ამზადებს საექსპერტო დასკვნას პროგრამის შესახებ და განსახილველად უბრუნებს სკოლის საბჭოს. ხარისხის მართვის დეპარტამენტის დადებითი დასკვნის შემთხვევაში სკოლის საბჭო საგანმანათლებლო პროგრამას წარუდგენს აკადემიურ და წარმომადგენლობით სენატს, რომელიც წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამის ცვლილებების განხილვის შემდეგ ამტკიცებს წარმოდგენილ პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელს, ან უარს ამბობს მის დამტკიცებაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიურირების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამამ გაიარა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული პროცედურა და პროგრამა მოდიფიცირებული სახით სენატის მიერ დამტკიცდა 2020 წლის 05 ივნისს. ამასთან, პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები), უნივერსიტეტმა, ასევე, გამოიყენა პროგრამის გარე შეფასების მექანიზმები - პროგრამა შეფასდა ადგილობრივი დარგის ექსპერტისა და უცხოელი ექსპერტის მიერ.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს (*დეტალურად იხ. წინამდებარე დასკვნის 2.1. სტანდარტი*), სწავლის შედეგებსა (*დეტალურად იხ. წინამდებარე დასკვნის 1.2. სტანდარტი*) და სტრუქტურას. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, კერძოდ, კურიკულუმი მოიცავს 240 კრედიტს (1 კრედიტი უტოლდება სტუდენტის დატვირთვის 25 საათს) და შედგება შემდეგი მოდულებისაგან:

- **სავალდებულო კომპონენტები:**
  - ***ინგლისური ენა (თავისუფალი კომპონენტი)*** - ჯამში 30 კრედიტი - მოიცავს 4 სემესტრის განმავლობაში (I, II, III და IV სემესტრებში) ინგლისური ენისა და 2 სემესტრის განმავლობაში (V და VI სემესტრში) დარგობრივი ინგლისურის სწავლებას;
  - ***ძირითადი (სამართლის) სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები*** - ჯამში 155 კრედიტი - ეთმობა საბაკალავრო საფეხურზე აუცილებელი ცოდნისა და კომპეტენციის გამომუშავებას. მოიცავს სამართლის სფეროში არსებული ძირითადი თეორიებისა და პრინციპების, სამართლის დარგებისა და ინსტიტუტების სწავლებას და ცოდნის პრაქტიკული უნარის განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს;
- **არჩევითი კომპონენტები:**
  - ***ძირითადი (სამართლის) სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები*** - 45 კრედიტი - მოიცავს სასწავლო კურსებს, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს მისი ინტერესის შესაბამისი მიმართულებით სამართლის შესაბამის დარგში მიიღოს/გაიფართოვოს ცოდნა; არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის წინაპირობებსა და სასწავლო კურსების ლოგიკურ თანმიმდევრობას.
  - ***თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები*** - 10 კრედიტი - სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, შეიძინოს ზოგადი უნარები უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან მისთვის სასურველი სასწავლო კურსის არჩევით შესაბამისი სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობისა და შეთავაზების სემესტრის გათვალისწინებით.

ამდენად, ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების ჯამური მოცემულობა შეესაბამება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისათვის კანონმდებლობით დადგენილ კრედიტების გადანაწილების მოცულობას და უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის დაინტერესების მიხედვით სასწავლო კურსების არჩევითობა, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს საკუთარი არჩევანის მიხედვით განავითაროს საკუთარი პროფილი. ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურ ურთიერთკავშირია. თუმცა, პროგრამის გარკვეული ნაწილის შინაარსსა და სტრუქტურასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებებს:

1. ***თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები:*** აღნიშნული მოდულის ფარგლებში პროგრამის მიერ განხორციელებული შეთავაზება ბუნდოვანია. პროგრამა ზოგადად ითვალისწინებს სტუდენტისათვის შეთავაზებას, უნივერსიტეტში მოქმედ საბაკალავრო პროგრამებიდან აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო საგანი სასწავლო საგნების

კონკრეტიზაციის გარეშე, რაც არ არის მიზანშეწონილი. პროგრამაში ნათლად უნდა იყოს ასახული და კონკრეტიზირებული არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც ამ კომპონენტის ფარგლებში სტუდენტებს 10 კრედიტის დაგროვების შესაძლებლობას მისცემს;

2. ***თავისუფალი კომპონენტი - ინგლისური ენა:*** როგორც აღინიშნა, ინგლისური ენის სწავლება სავალდებულო წესით ხორციელდება 4 სემესტრის განმავლობაში (I, II, III და IV სემესტრებში) და შემდგომ 2 სემესტრის განმავლობაში (V და VI სემესტრში) გრძელდება დარგობრივი ინგლისურის სწავლება. ინგლისური ენის ოთხი სილაბუსი (პირველ ოთხ სემესტრში სავალდებულო სასწავლო საგნების მიხედვით) აწყობილია 3 დონის მიხედვით:

დონე 1:

I სემესტრი - ინგლისური A1; II სემესტრი - ინგლისური A2; III სემესტრი - ინგლისური B1 და IV სემესტრი - ინგლისური B2

დონე 2:

I სემესტრი - ინგლისური A2.1; II სემესტრი - ინგლისური A2.2; III სემესტრი - ინგლისური B1.1 და IV სემესტრი - ინგლისური B1.2

დონე 3:

I სემესტრი - ინგლისური B2.1; II სემესტრი - ინგლისური B2.2; III სემესტრი - ინგლისური B2.1 და IV სემესტრი - ინგლისური B2.2.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება ინგლისური ენის კომპონენტის (განსაკუთრებით დარგობრივი ინგლისურის) პროგრამაში ჩართვას, გასათვალისწინებელია სტუდენტების მიერ ინგლისური ენის ცოდნის განსხვავებული დონეები და ამის მიხედვით სტუდენტების მიერ შესაბამისი დონის ინგლისურის სასწავლო კურსის არჩევა. პროგრამიდან არ იკვეთება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება სტუდენტის ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი დონე, რომელიც, შედეგად, განსაზღვრავს ამ დონის შესაბამისი ინგლისურის სასწავლო კურსის სწავლებას. აღნიშნული კი საჭიროებს პროგრამაში შესაბამის განსაზღვრას.

3. ***ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები:*** მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოდულის ფარგლებში პროგრამა სტუდენტებს მათ მიერ არჩეული მიმართულების მიხედვით აძლევს შესაბამისი სასწავლო კურსების არჩევისა და, შესაბამისად, საკუთარი პროფილის ფორმირების შესაძლებლობას, სასურველია, არჩევითი საგნების აღნიშნული მოდული გაფართოვდეს და სტუდენტებს მეტი არჩევითობის შესაძლებლობა მიეცეთ მათი ინტერესების მიხედვით. მაგალითად, კერძო სამართლის მიმართულებით დაინტერესებულ სტუდენტებს სასურველია, პროგრამამ არჩევითი საგნის სახით შესთავაზოს საარბიტრაჟო სამართალი, რომელიც თანამედროვე ბიზნეს ურთიერთობებში განსაკუთრებით აქტუალურია. ბიზნეს ტრანზაქციებში, განსაკუთრებით, საერთაშორისო ტრანზაქციებში, სულ უფრო მეტად ხდება საარბიტრაჟო დათქმების განსაზღვრა/მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებები მხარეთა შორის წარმოშობილი დავების არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი შეთანხმებები და საარბიტრაჟო წარმოება განსაკუთრებული სპეციფიკით ხასიათდება, სასურველია, შესაბამისი ინტერესის მქონე სტუდენტს, ჰქონდეს აღნიშნული საგნის სწავლის შესაძლებლობა.

პროგრამის სწავლის შედეგების რუკა აღწერს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სასწავლო კურსების ურთიერთმიმართებას. აღნიშნულ რუკაზე დაყრდნობით, აკრედიტაციის მიზნით უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ინტერვიუს შედეგებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ხორციელდება მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და პროგრამის საფუძველზე მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. ამასთან,

პროგრამის შინაარსის თანმიმდევრობა, „მარტივიდან რთულისკენ“ და თეორიულიდან უფრო პრაქტიკულისკენ განვითარება უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას. ○ საბოლოო ჯამში, წარმოდგენილი პროგრამა მოცულობით და კომპლექსურობით შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია სამართლის ბაკალავრის კვალიფიკაციასთან, ხოლო პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ○ კურიკულუმი ○ სასწავლო გეგმა ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ○ განმავითარებელი ჯგუფის შეხვედრების ოქმები, გადაწყვეტილებები ○ გამოკითხვის შედეგები ○ სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ➢ მიზანშეწონილია, პროგრამაში ნათლად იყოს ასახული და კონკრეტიზირებული არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც ამ კომპონენტის ფარგლებში სტუდენტებს 10 კრედიტის დაგროვების შესაძლებლობას მისცემს. ➢ მიზანშეწონილია, განისაზღვროს სტუდენტების ინგლისურის ცოდნის შესაბამისი დონის განსაზღვრის წესი, რომლითაც დადგინდება სტუდენტის მიერ მისი ცოდნის დონის შესაბამისი ინგლისურის სასწავლო კურსების სწავლება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების მოდულის ფარგლებში პროგრამა სტუდენტებს მათ მიერ არჩეული მიმართულების მიხედვით აძლევს შესაბამისი სასწავლო კურსების არჩევისა და, შესაბამისად, საკუთარი პროფილის ფორმირების შესაძლებლობას, სასურველია, არჩევითი საგნების აღნიშნული მოდული გაფართოვდეს და სტუდენტებს მეტი არჩევითობის შესაძლებლობა მიეცეთ მათი ინტერესების მიხედვით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სასწავლო გეგმის, პროგრამის კურიკულუმის რუკითა და სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ სწავლის შედეგები აკმაყოფილებს ბაკალავრიატის საფეხურისთვის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთობლიობა კი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კურსის მიზანი, მიზნის შესაბამისად განსაზღვრულია საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგს. სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული საგნის დატვირთვა გამოიხატება კრედიტების სისტემაში (1 (ECTS) კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს, რაც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე, დამოუკიდებელ სამუშაო დროს), ხოლო კრედიტების რაოდენობა თითოეული სასწავლო კურსის შემთხვევაში განსაზღვრულია ამ კონკერტული საგნის სპეციფიკის, მოცულობისა და მისი შესწავლისათვის აუცილებელი დროის გათვალისწინებით.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მეშვეობით სტუდენტი იძენს სამართლის დარგობრივი მახასიათებლით ბაკალავრიატის საფეხურისათვის დადგენილ ცოდნასა და უნარებს. სასწავლო კურსები მოიცავს სამართლის სფეროში არსებული ძირითადი თეორიებისა და პრინციპების, სამართლის დარგებისა და ინსტიტუტების სწავლებას და ცოდნის პრაქტიკული უნარის განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს, ამასთან არჩევითი კურსების მეშვეობით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი ინტერესის შესაბამისად მათ მიერ არჩეული საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით გაიღმავონ/მიიღონ შესაბამისი ცოდნა. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების მოდულის ფარგლებში პროგრამა სტუდენტებს მათ მიერ არჩეული მიმართულების მიხედვით აძლევს შესაბამისი სასწავლო კურსების არჩევისა და, შესაბამისად, საკუთარი პროფილის ფორმირების შესაძლებლობას, სასურველია, არჩევითი საგნების აღნიშნული მოდული გაფართოვდეს და სტუდენტებს მეტი არჩევითობის შესაძლებლობა მიეცეთ მათი ინტერესების მიხედვით.

სასწავლო კურსის სილაბუსების მიხედვით ირკვევა, რომ შერჩეული სასწავლო სახელმძღვანელოები და შეთავაზებული ელექტრონული ლიტერატურა ძირითადად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, ორიენტირებულია დარგის თანამედროვე მიღწევებზე და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსებით

განსაზღვრული სასწავლო მასალები წარმოდგენილი და ხელმისაწვდომია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში. ○
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ○ სასწავლო კურსის სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამა სწავლის შედეგები და საფეხურის შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას პროგრამაში არსებული პრაქტიკული საგნებით და და სილაბუსში არსებული პრაქტიკული კომპონენტებით. პრაქტიკული კურსები დაგეგმილია სწავლის შედგების შესაბამისად და სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს დაეუფლოს ისეთ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, როგორიცაა სამართლებრივი აქტების პროექტების შედგენა, ხელშეკრულების შედგენა და საპროცესო დოკუმენტაციის შექმნა.
სამეცნიერო-კვლევითი უნარის გამომუშავების მიზნით სასწავლო კურსი სამართლებრივი წერა სტუდენტს უვითარებს სამეცნიერო კვლევის განხორციელებას და შესაბამისი ნაშრომის მომზადების უნარს.
უნივერსიტეტი ყოველწლიურად მართავს კონფერენციას და ნაშრომებს ბეჭდავს ყოველწლიურ სამეცნიერო კრებულში. აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვთ როგორც სტუდენტებს, ისე აკადემიურ პერსონალს. სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ ისინი სისტემატიურად იღებენ ინფორმაცის სამეცნიერო და კვლევით პროექტებში მონაწილეობის შესახებ, როგორც სოციალურ ქსელში არსებული ჯგუფების, ასევე პირადი მეილის საშუალებით.
უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამართლის და ეკონომიკის ცენტრი, რომელიც დაფუძნდა თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის და თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაულტეტის მიერ. აღნიშნული ცენტრის აქტივობები უზრუნველყოფენ სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას.
უსდ-ს გააჩნია იმიტირებული სასამართლო დარბაზი, რაც ხელს უწყობს პროცესის რეალურ აღქმას. უნივერსიტეტი ორგანიზებას უკეთებს იმიტირებულ პროცესებს და საჯარო ლექციებს.
უნივერსიტეტს გაფორმებულ აქვს მემორანდუმები/ხელშეკრულებები დამსაქმებლებთან, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ პრაქტიკა. ხელშეკრულებები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, პრაქტიკი მიზანს და ხანგრძლივობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგაბი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV
- ბაკალავრიატის დებულება
- სამეცნიერო კრებული
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებელი სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის საფეხურს, კურსის შინაარსს, უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსითა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა. სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადად გხვდება ისეთი აქტივობები, როგორიცაა ახსნა-განმარტება; შემთხვევის ანალიზი (case study); პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; ინდუქცია; დედუქცია; ანალიზი; წერითი მუშაობა; დემონსტრირება და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს. მიღწეული სწავლის შედეგების შეფასებისა ხორციელდება შემდეგი წესით: შეფასების ფორმებად განისაზღვრება შუალედური და დასკვნითი შეფასება; შეფასების კომპონენტად განისაზღვრება ზეპირი/წერითი გამოკითხვა (ყოველკვირეული გამოკითხვა),

ზეპირი/წერითი შეფასება (თეორიული/პრაქტიკული ნაშრომის წარმოდგენა) და წერითი გამოცდა (შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდები); შეფასების მეთოდებად განისაზღვრება დისკუსიაში მონაწილეობა, ტესტი, პრეზენტაცია, ქეისის ამოხსნა, როლური თამაში და სხვ. აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ლექტორი უფლებამოსილია გამოიყენოს ისეთი სწავლების და სწავლის მეთოდი, რომელიც არ არის გათვალისწინებული პროგრამით, რის შესახებაც უნდა აღინიშნოს სილაბუსში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სასწავლო კურსის სილაბუსები. ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, რაც შეეხება სტუდენტთა შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას მაგალითად სასწავლო კურსში შესავალი სამართალმცოდნეობაში ანალიტიკური საკითხის შეფასებისას გამოიყენება მხოლოდ ლუწი რიცხვები 2,4,6,8,10. იგივე შეიძლება ითქვას ბევრ სხვა სასწავლო კურსზეც. შეფასების სანდოობა ბოლომდე არ არის უზრუნველყოფილი კონკრეტულად ჩამოყალიბებული შეფასების ზუსტი და მკაფიო კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

უნივერსიტეტში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და შეესაბამება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სტუდენტთა შეფასება მრავალკომპონენტიანია და უზრუნველყოფს შესაბამისი კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის თანახმად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს 100-ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას. საგანამანთლებლო პროგრამით შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილებულია და განსაზღვრულია.

ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

• ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

• დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

• საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

• (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

• ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების

შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. წარმოდგენილი სამართლის საგანმანათლებლო პროგრამით, დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებს, მეთოდებსა და კრიტერიუმებს, რომელთა საშუალებით დგინდება, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

ინტერვიუირების პროცესში დადასტურდა, რომ ლექტორი საგნის სწავლებისას, სემესტრის პირველ სასწავლო კვირას, სტუდენტებს აცნობს და აანალიზებს შეფასების სისტემას. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები საშუალებას აძლევს ლექტორს გაზომოს სასწავლო შედეგი და მისი მიღწევის ხარისხი.

ინტერვიუირების პროცესში სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ.

სამართლის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალისათვის შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას. ამასთან, დადასტურდა რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას. აღნიშნული დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული ტრენინგებით. შესაბამისად, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას; საგანმანათლებლო პროგრამით, სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. უკუკავშირის შედეგები ხელმისაწვდომია ლექტორთათვის, აგრეთვე ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება კურსის შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით.

სტუდენტთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექნიზმის დოკუმენტსა და გამოცდების ჩატარების დებულებაში მოცემულია გასაჩივრების პროცედურები. ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია უსდ-ს ვებ-გვერდზე: www.tou.edu.ge

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- სილაბუსები
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- გამოცდების ჩატარების დებულება
- სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული ტრენინგების ჩამონათვალი შესახებ დოკუმენტი

○ ინტერვიუირების შედეგები.
რეკომენდაციები: ➢ სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების ზუსტი და მკაფიო კრიტერიუმები ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე კონსულტაციასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას. მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შინაარსიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს უნდა სთავაზობდეს საკონსულტაციო მომსახურებას, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, სტუდენტები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საკონსულტაციო სერვისების მიღების შესაძლებლობის შესახებ, რომლებსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს. მიზანშეწონილია, რომ საკონსულტაციო პროცესში ჩართული იყოს როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალი. აკრედიტაციის ვიზიტისას უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები იღებენ კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერაში მონაწილეობს უნივერსიტეტის არაერთი თანამშრომელი. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან მიიღონ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების შესახებ. კომუნიკაციის საშუალებებად უნივერსიტეტში ეფექტურად გამოიყენება სოციალური ქსელებში შექმნილი სპეციალური ჯგუფები და გვერდები. ამავდროულად კონსულტაციის საშუალებებად გამოიყენება სატელეფონო შეტყობინებები და ზარები. სტუდენტის პირადი ელექტრონული გვერდიდან სტუდენტს შეუძლია მიიღოს პრაქტიკულად ნებისმიერი ინფორმაცია. მაგალითად ინფორმაცია ჩაბარებული და რეგისტრირებული (მიმდინარე) საგნების შესახებ, მიღებული შეფასებების შესახებ. გამოიწეროს წიგნი ბიბლიოთეკიდან და სხვა. უნივერსიტეტში, სტუდენტთა კონსულტაციის პროცესში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალიც. უნივერსიტეტის რეგულაციებით, პერსონალი ვალდებულია განახორციელოს საკონსულტაციო მომსახურება. ვიზიტის შედეგად გამოირკვა, რომ აღნიშნული ვალდებულება პრაქტიკაშიც ხორციელდება. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აუცილებელი კონსულტაცია პირადი შეხვედრების გზით მიიღონ აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან. გარდა ამისა, პერსონალი სტუდენტებს უწევს კონსულტაციას სოციალური ქსელისა და სატელეფონო კომუნიკაციის გზით. აღსანიშნავია უნივერსიტეტის როლი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერის საკითხშიც. უნივერსიტეტში დასაქმებასთან დაკავშირებული

კონსულტაციები სტუდენტს შეუძლია მიიღოს კარიერული ცენტრში, რომელიც უზრუნველყოფს ასევე სტუდენტის კარიერული განვითარების მხარდაჭერას. უნივერსიტეტის აღნიშნული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ბაზის ფორმირებას და ბაზაში დაფიქსირებული პირებისათვის დასაქმების ბაზარზე არსებული ვაკანსიების თაობაზე განახლებული ინფორმაციის მიწოდებას, დამსაქმებელთა აქტიური მონაწილეობით დასაქმების ფორუმების ორგანიზაციას, სტუდენტებისა და დამსაქმებლების დაკავშირების ხელშეწყობას, სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებს და სხვ. ინტერვიურების დროს, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტის მხრიდან ისინი ხშირად იღებენ ინფორმაციას კონკრეტული ვაკანსიებისა და ტრეინინგების შესახებ. ინფორმაციის მოწოდების ძირითად წყაროდ სტუდენტები და კურსდამთავრებულები სოციალურ ქსელებში შექმნილ სპეციალურ ჯგუფებსა და გვერდებს ასახელებენ. პროგრამის ფაგრლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებში და კვლევებში. ამის შესახებ ინფორმაციას ისინი იღებენ სოციალურ ქსელებში შექმნილ სპეციალურ ჯგუფებში და უნივერსიტეტის პროგრამის emis.tou.edu.ge-ზე. სტუდენტების წახალისების მიზნით მოქმედებს საუნივერსიტეტო სტიპენდია, ასევე ფინასდება კონფერენციებში მონაწილეობა, სტატიების ჟურნალებში ბეჭდვა, გაცვლითი პროგრამები და სხვა. ინტერვიურების შედეგად გამოირკვა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალიც ჩართულია საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა კარიერულ განვითარებაში. პერსონალის ჩართულობა გამოიხატება სტუდენტთა ჩართვაში სტაჟირების პროექტებში, რეკომენდაციის გაწევაში დასაქმებისა თუ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისათვის. პერსონალი აგრეთვე უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას ადგილობირვ თუ საერთაშორისო პროექტებში, საგრანტო პროექტებში და კონკურსებში. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს არაერთი მემორანდუმი, ხელშეკრულება თუ შეთანხმება, რომელიც მოიცავს თანამშორმლობას სხვადასხვა ორგანიზაციასთან, სტუდენტთა სტაჟირების, პრაქტიკის და დასაქმების მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ○ ინტერვიუს შედეგები ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთა დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობა. ○ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ○ სასწავლო კურსების სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში, ჩართული არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები, რომლებიც პრაქტიკულ საქმიანობასაც ახორციელებენ, ვინაიდან თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის საუკეთესო შედეგებს იძლევა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 10 პროფესორი, 16 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტი და 14 მოწვეული ლექტორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა არის 42. სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე ირიცხება 221 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის - სტუდენტების რაოდენობასთან თანაფარდობა არის დაახლოებით 0,19 აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 0,108. აღნიშნული მონაცემები საბაკალავრო საფეხურისათვის კარგ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, ეს თანაფარდობა საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტში სამართლის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვნენ დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმარისია და ფარავს სამართლის საბაკალავრო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა მოქნილია და ზრუნავს პერსონალის კეთილდღეობაზე. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მეტწილად დაკომპლექტებულიად დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებით. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი ბიოგრაფიებით ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების უმეტესობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო თვალსაზრისით აქტიურია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ განხორციელებული აქვთ სამეცნიერო კვლევები და გამოქვეყნებული აქვთ ნაშრომები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების პირადი საქმეები;
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესი;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უნივერსიტეტში დანერგილია და წარმატებით მუშაობს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების, თვითშფასების და განვითარების სქემა, რომელიც ერთი მხრივ ხდება სტუდენტის მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასებას, ასევე თავად აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასება, ასევე პერსონალის კმაყოფილების კვლევა. ამასთანავე, ხორციელდება სასწავლო პროცესზე დაკვირვება და ანალიზის საფუძველზე ისახება გაუმჯობესების გზები, არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს როგორც მათი სასწავლო ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია სხვადასხვა ღონისძიებებში, რომელიც ემსახურება მათი პროფესიული და პედაგოგიური უნარების განვითარებას. უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესწავლისას იკვეთება, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ისეთი ხარჯები, რომელიც მიმართულია უსდ-ს აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ან/და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისათვის. სასწავლო პროცესის ეფექტურობის ამაღლების მიზნით ხარისხის მართვის დეპარტამენტი და კარიერული ცენტრი ყოველწლიურად ატარებენ სხვადასხვა ტიპის ტრენინგებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმი. უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადებითად ფასდება. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები და ა.შ. აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისა და კვლევისათვის. რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი მოძებნა. უნივერსიტეტი აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი აუდიტორიებით. უნივერსიტეტს აქვს იმიტირებული სასამართლო დარბაზი, სადაც სტუდენტებს უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები, იმიტირებული სასამართლო პროცესები რაც მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისთვის და კვლევისთვის. რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი ელექტრონულად მოძებნა. ბიბლიოთეკაში დაცულია სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის.
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ ბიბლიოთეკაში არსებობს პროგრამა „კოდექსი“ თუმცა აქვე განმარტეს, რომ ერთდროულად მხოლოდ სამ მომხმარებელს შეუძლია ამ ბაზით სარგებლობა, რადგან ის მხოლოდ სამ კომპიუტერზე არის დაინსტალირებული.უნივერსიტეტის გარეთ სტუდენტებს და პედაგოგებს ამ ბაზიდან ნორმატიული მასალის მიღება შეუძლიათ მხოლოთ ბიბლიოთეკის ადმინისტრაციის მონაწიეობით, რაც დამატებით ბარიერებს ქმნის. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს ისეთი ვერსია, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტების და პერსონალს ისარგებლოს ვებ-გვერდის სერვისებით , როგორც უნივერსიტეტიდან, ისე გარედან მითუმეტეს დისტანციური სწავლების პირობებში.
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო საინფორმაციო და სამეცნიერო რესურსებს ისეთი ბაზებიდან როგორიცაა :
https://doaj.org/;
http://www.opendoar.org/index.html; http://roar.eprints.org/
თუმცა კარგი იქნებოდა თუ უნივერსიტეტი იმუშავებდა სამართალში განსაკუთრებულად პოპულარული რესურსების, როგორიცაა home.heinonline.org -ისა და www.lexisnexis.com -ის უნივერსიტეტში გამოყენების დანერგვაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინფრასტრუქტურის online დათვალიერება;
- o ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ვიზიტის მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ პროგრამა კოდექსით სარგებლობა სტუდენტებსა და პედაგოგებს მხოლოდ უნივერსიტეტიდან შეუძლიათ. უნივერსიტეტის გარეთ სტუდენტებს და პედაგოგებს ამ ბაზიდან ნორმატიული მასალის მიღება შეუძლიათ მხოლოთ ბიბლიოთეკის ადმინისტრაციის მონაწიეობით, რაც დამატებით ბარიერებს ქმნის. სასურველია ეს საკითხი დარეგულირდეს ისე, რომ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს ჰქონდეთ საკანონმდებლო ბაზასთან წვდომა. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს ვერსია, რომელიც საშუალებას მისცემს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტების ისარგებლოს ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე გარედან.
- ასევე მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა იმუშავოს სამართალში განსაკუთრებულად აქტუალური რესურსების, როგორიცაა home.heinonline.org და www.lexisnexis.com -ს უნივერსიტეტში გამოყენების დანერგვაზე. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს თუნდაც სხვა უნივერსიტეტთან თანამონაწილეობის პრინციპზე, რამეთუ, აღნიშნული რესურსები ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა ფინანსურად მდგრადი და გამართულია, იგი მომგებიანია და არ უწევს უნივერსიტეტს დოტაციაზე ყოფნა. არსებობს შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები და ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისათვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არ უწევს დამატებითი ფინანსების გაღება პროგრამის განხორციელებისთვის. პროგრამის ბიუჯეტი ემსახურება როგორც აკადემიური/ მოწვეული პერსონალის კვლევების განვითარებას ასევე მობილობის პროცესის ხელშეწყობას და იგი ორიენტირებულია სტუდენტთა საჭიროებებზე. კონკრეტულად კი ბიუჯეტის 45% იხარჯება ხელფასებზე (509580 ლარი) ხოლო სასწავლო რესურსებზე, კონფერენციებში მონაწილეობაზე, სამეცნიერო სტატიებზე, სპორტული და სხვა კურიკულუმის გარეშე ღონძიებებზე, სტიპენდიები/შეღავათებზე და გაცვლითი პროგრამების დაფინანსებაზე ხუთ-ხუთი პროცენტი (56620 ლარი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უსდ სკოლის ბიუჯეტი; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის სააკრედიტაციო ვიზიტის დროს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, უსდ-ს ხარისხის მართვის და სტრატეგიული განვითარების სამსახური რეგულარულად გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას და ამ მიზნით იყენებს ხარისხის მართვის ისეთ ინსტრუმენტებს, მაგალითად როგორიცაა სტუდენტების და აკადემიური პერსონალის შეფასება, რომელიც ეგზავნება პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს. როგორც აკრედიტაციის ჯგუფის ადგილზე ვიზიტმა დაადასტურა, აღნიშნული ინფორმაცია გაანალიზებულია ხარისხის მართვის და სტრატეგიული განვითარების სამსახური მიერ და ხორციელდება შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. თუმცა, როგორც ლექტორების, ისე სტუდენტების მხრიდან ინფორმაციის გადამოწმებამ დაადასტურა, შეფასებები უკანასკნელ პერიოდში (ბოლო ერთი წლის განმავლობაში) გახდა „ფაკულტატურული“ რაც მონაწილეთა

რაოდენობისა და შედეგების გათვალისწინების თვალსაზრისით ნაკლებად ინფორმაციულია და არ გვაძლევს არსებული სიტუაციის სრულად დანახვის შესაძლებლობას. თუმცა საუნივერსიტეტო ჭრილში ჩატარებული გამოკითხვების და სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით ბოლო დროს საუნივერსიტეტო მაშსტაბით განხორციელდა ბევრი ცვლილება პორგრამის განვითარების, სასწავლო პროცესის ორგანიზების, სტუდენტთა მხარდაჭერის და პერსონალის მოზიდვის მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები; • ხარისხის მართვის დეპარტამენტის ანგარიში და რეკომენდაციები • SWAT_TOU-ანალიზის შედეგები დანართი • დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი • თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია; • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესი • ელექტრონული სწავლების ხარისიხს უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპები. • საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია აღდგეს ძველი პრაქტიკა რომლის დროსაც სტუდენტების გამოკითხვა ატარებდა ე.წ „სავალდებულო“ და არა „ფაკუტატურულ“ ხასიათს. ამით უზრუნველყოფილი იქნება შეფასების განხორციელების პროცესში უფრო მეტი პირის მონაწილეობა და შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა ფასდება ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მიერ. პროგრამა შეაფასა ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა-ექსპერტმა გიორგი მახარობლიშვილმა და გერმანიის ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა დოქტორმა არკადიუშ ვუდარსკიმ.
მისასალმებელია, რომ საბაკალავრო პროგრამის მართვის პოლიტიკა ღიაა და ურთიერთთანამშრომლობის პროცესზეა დამოკიდებული - მასში მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე. ავტონომიურად გამოკითხულია სტუდენტები და კურსდამთავრებულები (რაც გამოიკვეთა, მათ შორის, ინტერვიუებიდან), ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირის მისაღებად, გამოკვლეულ იქნა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე ხარისხის შეფასების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში:

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება პერიოდულია, რაც გამოვლინდა თვითშეფასების ანგარიშისა და განსაკუთრებით, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად. იგი ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაკალავრო პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები მოქნილია. პერიოდულად ტარდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პარტნიორების გამოკითხვა შესაბამისი კომპონენტებით კმაყოფილების შესახებ. შიდა შეფასების შედეგები ანალიზდება შიდა თვითშეფასების ანგარიშში და გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები გადაეცემა სენატს, რომელიც, საჭიროებისამებრ, პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგიის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ. აღსანიშნავია რომ საბაკალავრო პროგრამის შინაარსის განვითარების მიზნით განხორციელდა ხარისხის გარე შეფასება. იგი, სათანადო დოკუმენტაციით, გადაეგზავნა ქართველ და უცხოელ დარგის სპეციალისტებს. მისასალმებელია, უნივერსიტეტი აანალიზებს ამ ფორმით მიღებულ შეფასებებს. მუდმივად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა, რომლებიც შემდგომ ანალიზდება პროგრამის შედეგების სრულყოფის, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოების მიზნით. საერთო ჯამში, უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, მონიტორინგი და პერიოდული შეფასება რეალურად ხორციელდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენება;
- ლექციაზე დაკვირვების ფორმა;

• SWOT_TOU-ანალიზის შედეგები • დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
სამართლის საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლევან მოსახლიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო ბოგვერაძე

კონსტანტინე ებრალიძე